ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N106

2016 წლის 29 ივლისი

ქ.ქობულეთი

მუნიციპალიტეტის გამგებელზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის მე-100 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს (ს.ევგენიძე) შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული ,,მერსი ქორფსი"-ს მიერ განხორციელებული „მცირე კავკასიის ალიანსების აჭარის პროგრამის" ფარგლებში „მერსი ქორფსი"-საგან გრანტის მიღებაზე და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (მ.ჟორდანია).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე